ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N1

ქ.ბათუმი **2021 წლის 21 მაისი**

ერთი მხრივ, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ნინო წილოსანის მიერ და მეორე მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო, წარმოდგენილი საბჭოს თავმჯდომარის, ფატი ხალვაშის მიერ, შემდგომში წოდებული „მხარეებად", ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შემდეგი პირობებით:

1 მემორანდუმის საგანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთანამშრომლობის განხორციელება ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც გულისხმობს მხარეებს შორის კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერებასა და დაახლოებას ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპზე.

2 მემორ ანდუმის მიზანი

2.1 მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის საქმიანობების განხორციელებისათვის შესაბამისი ჩარჩოს შექმნა.

2.2 წინამდებარე მემორანდუმის მიზნებს წარმოადგენს:

ა) გენდერული თანასწორობის საკითხებზე მხარეებს შორის კოორდინირებული მუშაობა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

ბ) გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმის დახვეწის მიზნით, გენდერული პოლიტიკის განხილვის და დაგეგმვის პლატფორმის შექმნა;

გ) მხარეების მიერ ერთმანეთისთვის ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

დ) გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მხრიდან, გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების

შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა რეგიონსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოში.

3 მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

4. დასკვნითი დებულებები

4.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

4.2 წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.3 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაში